



პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება
პრობლემები და რეკომენდაციები

კახაბერ ერაძე



შინაარსი

პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება პრობლემები და რეკომენდაციები	3
საკითხის აქტუალობა	3
ზოგიერთი არგუმენტის კრიტიკა	4
არგუმენტი 1. პროგრამა მოთხოვნადია მოსახლეობის მხრიდან	4
არგუმენტი 2. პროგრამა აქტუალურია, რადგანაც ჩარჩო დოკუმენტი არსებობს	5
არგუმენტი 3. ჩვენი მისიის მიხედვით კოლეჯი არაა პროფილური, არამედ ფართო პროფილისაა	5
არგუმენტი 4. ჩვენ არ გვაქვს შესაბამისი კვლევითი პოტენციალი, ეს სამინისტრომ უნდა აკეთოს	5
არგუმენტი 5. შრომის ბაზრის კვლევა ნათლად უჩვენებს ამ სპეციალისტებზე მაღალ მოთხოვნას	6
მიზანშეწონილობის დასაბუთება	6
1. კონცეპტუალური მიზანშეწონილობა	6
2. რესურსული მიზანშეწონილობა	6
3. ეკონომიკური მიზანშეწონილობა	7
4. სამართლებრივი მიზანშეწონილობა	7
5. ოპერაციული მიზანშეწონილობა	8
რეკომენდებული „კარგი“ პრაქტიკის მაგალითები	8

**პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება
პრობლემები და რეკომენდაციები
(კახაბერ ვრაძე)**

სტანდარტი 2. საგანმანათლებლო პროგრამები

კომპონენტი 2.1. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება

კრიტერიუმი 2.1.1. პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

ინდიკატორი 1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

საკითხის აქტუალობა

მიუხედავად სტანდარტთან დაკავშირებით ჩატარებული ტრენინგებისა და ბეჭდური თუ ელექტრონული ფორმით გავრცელებული რეკომენდაციებსა და განმარტებებისა, ადმინისტრაციული წარმოებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება დაწესებულებების სუსტ წერტილს წარმოადგენს, ისევე, როგორც ექსპერტების მხრიდან ამ საკითხზე არ ხდება ყურადღების სათანადო გამახვილება.

ეს პროგრამული სტანდარტის შეფასების საწყისი და ამოსავალი წერტილია, ამიტომაც ყველა მხარეს განსაკუთრებული ყურადღება მოეთხოვება.

როცა საქმე ეხება სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, არასათანადო დასაბუთების პირობებში პროგრამის განხორციელებისთვის მზადება ქმნის ისედაც შეზღუდული საბიუჯეტო რესურსების არაეფექტური და არამიზანშეწონილი ხარჯვის რისკს, რადგანაც თითოეული პროგრამის შემუშავება უკავშირდება მისი განხორციელებისათვის ინფრასტრუქტურის მოწყობის, აღჭურვის, მასწავლებელთა გადამზადების ხარჯებს, ასევე პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული პირების დროითი რესურსის ხარჯვას, რაც მათ ანაზღაურებაში

აისახება. მეორე მხრივ კი დაუსაბუთებელი პროგრამების განხორციელების მიზნით დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის პროცესი, როგორცაა თემი, ადგილობრივი თვითმმართველობა თუ კერძო სექტორი, რეპუტაციული ზიანს აყენებს პროფესიულ განათლებას, რადგანაც მათი მოლოდინი შესაძლოა სულ სხვა საგანმანათლებლო პრიორიტეტებს უკავშირდებოდეს, რაზეც ისინი კოლეჯისაგან ელიან სათანადო რეაგირებას.

კერძო კოლეჯების ნაწილში შესაძლოა ანალოგიური პრობლემები დადგეს როგორც ფინანსურად (არა საბიუჯეტო არამედ, კერძო ფინანსების ნაწილში, რიტაც დამფუძნებელი უნდა იყოს დაინტერესებული), ასევე რეპუტაციულ ნაწილში.

ორივე შემთხვევაში, თუ კოლეჯი სათანადოდ ვერ ასაბუთებს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას, ექსპერტები და ავტორიზაციის საბჭო, დადებითი დასკვნის შედგენის ან დადებითი გადაწყვეტილების მიღების დროს მწვანე შუქს უნთებს ამ პროგრამებზე 6 წლის განმავლობაში საბიუჯეტო ან კერძო რესურსების ხარჯვას სტუდენტის ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსების სახით.

საბოლოო ჯამში ასევე გასათვალისწინებელია საზოგადოებრივი ზიანი, რაც მოჰყვება კურსდამთავრებულთა მოლოდინების განხილვას და უშუშევართა რიგების შევსებას იმ ადამიანებით, რომლებზეც საჯარო თუ კერძო ფინანსები დაიხარჯა.

ზოგიერთი არგუმენტის კრიტიკა

არგუმენტი 1. პროგრამა მოთხოვნადია მოსახლეობის მხრიდან

პირველ რიგში უნდა დავფიქრდეთ თუ რომელ პროფესიებზე საუბარი და რომელი მხარე ქმნის მოთხოვნას ამ პროგრამებზე.

თუ საუბარი ეხება ისეთ პროფესიებს, რომლებიც თვითდასაქმების მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება ან პიროვნების თვითრეალიზაციას უკავშირდება, როგორცაა ძირითადად სახელოვნებო მიმართულებები, სიმღერა, ცეკვა, ხატვა, ფოტოგრაფია, ფლორისტიკა, მებაღეობა და სხვა, არგუმენტი, რომ დიდია მოსახლეობის ინტერესი, შესაძლოა იყოს ერთგვარი სანდო დასაბუთება. მაგრამ ასეთი პროფესიების ნუსხა დიდი არაა. ამიტომაც მოსახლეობის მაღალი ინტერესი სამედიცინო, საფინანსო, ტურიზმის თუ სხვა მიმართულების პროგრამების მიმართ თუ ეს გამყარებული არაა კოლეჯის სამოქმედო არეალში შესაბამისი დამსაქმებლების არსებობით და მათი მხრიდან კვალიფიციური

ადამიანების საჭიროებების დადასტურებით, დაუსაბუთებელ გარემოებად უნდა განვიხილოთ.

არგუმენტი 2. პროგრამა აქტუალურია, რადგანაც ჩარჩო დოკუმენტი არსებობს

აქ საუბარი არაა ზოგადად, მოცემული კვალიფიკაციის საჭიროებაზე, ამ საკითხის ანალიზი პროფესიის სტანდარტისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სამუშაოების ეტაპზე განხორციელდება. აქ აქცენტი გადატანილია კონკრეტული პროგრამის განხორციელების რელევანტურობაზე იმ გეოგრაფიული არეალის ჭრილში, რომელსაც კონკრეტული დაწესებულება ემსახურება. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, დასაბუთება ეხება არა სარკინიგზო გადაზიდვების პროგრამის საჭიროებას ქართული შრომის ბაზრისთვის, არამედ ამ პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილების გააზრებას მაგალითად მესტიაში ან სტეფანწმინდაში.

არგუმენტი 3. ჩვენი მისიის მიხედვით კოლეჯი არაა პროფილური, არამედ ფართო პროფილისაა

ეს გარემოება ვერ იქნება სათანადო დასაბუთება. დასაბუთება სხვა ტიპის არგუმენტაციას მოითხოვს. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ ეს არაა პროგრამის დამატების ხელისშემშლელი გარემოება, თუმცა არც საკმარისია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებისათვის. პროგრამის დამატების შესახებ გადაწყვეტილება კი არ უნდა ეფუძნებოდეს კოლეჯის მისიას, არამედ წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს მასთან.

არგუმენტი 4. ჩვენ არ გვაქვს შესაბამისი კვლევითი პოტენციალი, ეს სამინისტრომ უნდა აკეთოს

პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილება არის კოლეჯის და არა სამინისტროს მისაღები. შესაბამისად, დასაბუთებაზეც კოლეჯმა უნდა იზრუნოს. სამინისტრო და ვერც რომელიმე სახელმწიფო ორგანიზაცია ვერ განახორციელებს პროგრამების განხორციელების რელევანტურობის დასაბუთებას 90-ზე მეტი კოლეჯისათვის, რადგანაც ეს დასაბუთება მრავალ ისეთ ასპექტს უნდა ითვალისწინებდეს, რაც არ შეიძლება ცნობილი იყოს სამინისტროსათვის. დასაბუთებას

არ სჭირდება განსაკუთრებული კვლევითი პოტენციალი. თუ დანესებულებას აქვს საკუთარი მისიის და როლის სწორი ხედვა და პროგრამის დამატების შესახებ გადამწყვეტილების მიღებაში სწორი დაინტერესებული მხარეები რეალურად არიან ჩართულნი, დასაბუთება პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. თუ დანესებულება ვერ ახერხებს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას, მაღალი ალბათობით ის ვერც პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს.

არგუმენტი 5. შრომის ბაზრის კვლევა ნათლად უჩვენებს ამ სპეციალისტებზე მაღალ მოთხოვნას

ეს კარგი დასაბუთებაა, თუმცა თუ კვლევა შესრულებულია ქვეყნის მასშტაბით და არ არის დეტალიზებული რეგიონების და სექტორების მიხედვით, შესაძლოა არასაკმარისი აღმოჩნდეს განსკუთრებით კი რეგიონებში პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებლად.

მიზანშეწონილობის დასაბუთება

მიზანშეწონილობის დასაბუთებისას საკითხი განხილული უნდა იქნეს როგორც კოლეჯის, ისე სისტემურ დონეზე. მიზანშეწონილობის დასაბუთებამ უნდა მოიცვას შემდეგი ასპექტები:

1. კონცეპტუალური მიზანშეწონილობა

ამ ნაწილში უნდა გაანალიზდეს ხომ არ მოდის წინააღმდეგობაში პროგრამის განხორციელება კოლეჯის მისიასთან, მის პროფილთან და სტრატეგიულ მიზნებთან;

2. რესურსული მიზანშეწონილობა

კოლეჯმა უნდა შეაფასოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური მოთხოვნები, საგანმანათლებლო რესურსები. განსაზღვროს თუ რა სახის შესაბამისობა გააჩნია უკვე და რა ნაწილში იქნება საჭირო დამატებითი ინვესტირება. მათ შორის გათვალისწინებული უნდა იქნეს პერსონალის (პროგრამის

ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებლები) მოზიდვა, პერსონალის არსებობა, მათი გადამზადების საჭიროება და სხვა.

3. ეკონომიკური მიზანშეწონილობა

კოლეჯმა დასაბუთების ამ ნაწილში უნდა აღწეროს თუ რა იქნება დაფინანსების შესაძლო წყაროები. საბიუჯეტო, კერძო თუ სხვა. განსაზღვროს ოპერაციული ხარჯები და შემოსავლები, დაასაბუთოს პროგრამის განხორციელების ფინანსური მდგრადობა (საპროგნოზო ბიუჯეტი). გარდა ფინანსური მდგრადობისა, გაიაზროს პროგრამის განხორციელების ეკონომიკური მიზანშეწონილობა დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზზე დაყრდნობით, უფრო ფართო კონტექსტში.

ამ ნაწილში კოლეჯმა დასაბუთებაში უნდა ასახოს, თუ სად დასაქმდებიან კურსდამთავრებულები სავარაუდოდ. რამდენი ადამიანი დაასრულებს პროგრამას მისი ფუნქციონირების პერიოდში და არის თუ არა მათი დასაქმების პოტენციური კოლეჯის ფუნქციონირების არეალში; კოლეჯმა უნდა მიმოიხილოს მის სამოქმედო არეალში კონკურენტი პროვაიდერების არსებობა, პროგრამის კონტექსტში. ასახოს საკუთარი ძლიერი მხარეები კონკურენტებთან მიმართებით. დაასაბუთოს თუ რატომ უნდა განახორციელოს ეს პროგრამა მან და ხომ არ გამოიწვევს პროგრამის დამატებითი ფუნქციონირება კვალიფიციური ადამიანური რესურსის სიჭარბეს;

კოლეჯმა ასევე უნდა გააანალიზოს სამუშაოზე დაფუძნებული (დუალური ან კოოპერაციული) სწავლებისათვის სამოქმედო არეალში შესაძლო პარტნიორი კომპანიების არსებობა. მათ შორის მხედველობაშია მისაღები გონივრულ ვადებში და მანძილზე სტუდენტთა ტრანსპორტირება, მასთან დაკავშირებული ხარჯები.

4. სამართლებრივი მიზანშეწონილობა

ამ ნაწილში კოლეჯმა უნდა დაასაბუთოს, რომ პროგრამის განხორციელება ხომ არ საჭიროებს რაიმე დამატებითი რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, როგორცაა მარეგულირებლის თანხმობა გარკვეული საქმიანობის განხორციელებისას ან პროგრამის განხორციელების პროცესში საჭირო აღჭურვილობის, მასალა-ნედლეულის შექმნა, შენახვა და გამოყენება ხომ არ უკავშირდება რაიმე სახის სალიცენზიო ან სანებართვო პირობების დაკმაყოფილებას. ასევე კოლეჯი უნდა დარწმუნდეს რომ პროგრამის თანაგანმახორციელებელი, საჭიროების შემთხვევაში

ფლობს შესაბამის ნებართვებს ან ლიცენზიებს ან არის რეგისტრირებული კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5. ოპერაციული მიზანშეწონილობა

კოლეჯმა უნდა დაასაბუთოს, რომ მისი ორგანიზაციული მონაცემები იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. განსაკუთრებით ყურადღება უნდა გამახვილდეს ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობასა და დატვირთვაზე, თუ რამდენადაა შესაძლებელი ახალი პროგრამის ამოქმედების პირობებში მისი განხორციელების სრულფასოვანი ადმინისტრაციული მხარდაჭერა, განსაკუთრებით კი კოლეჯის ტერიტორიულ ერთეულებში (ფილიალებში). დაგეგმვის, კონტროლის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, სტუდენტთათვის სრულფასოვანი სერვისების მიწოდების უზრუნველყოფა.

რეკომენდებული „კარგი“ პრაქტიკის მაგალითები

მიზანშეწონილობის დასაბუთებლად ყველა ასპექტის რეალისტურად გააზრების საფუძველზე უნდა გაკეთდეს რისკებისა და სარგებლის საერთო შეჯამება და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

მიზანშეწონილობის დასაბუთებას ცალკეული ასპექტების მიხედვით ახორციელებენ სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები ან პირები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, რასაც კოორდინაციას უწევს წინასწარ განსაზღვრული პირი, ზოგჯერ ესაა სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი ან სასწავლო პროცესის სამსახურის წარმომადგენელი. ამ დასაბუთების საფუძველზე საბოლოო გადაწყვეტილება კი მიიღება კოლეჯის მიერ დადგენილი წესით. ამ მხრივ საუკეთესო პრაქტიკაა გადაწყვეტილების მიღება კოლეგიალური მართვის ორგანოს მიერ. ეს დაადასტურებს კოლეჯში მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპების გამოყენებას, რაც ავტორიზაციის მე-4 სტანდარტის 4.1. კომპონენტის 4.1.2 კრიტერიუმის მე-4 ინდიკატორია. ასევე, ლოგიკურია საჭიროა თანხმობის მოპოვება იმ პირის/ორგანოს მხრიდან, რომელმაც უნდა განახორციელოს ინვესტირება ამ ახალ „პროექტში“, თუ ეს პირები მართვის კოლეგიალურ ორგანოში არ შედიან.